საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

საქართველო, 380062 თბილისი, ფალიაშვილის ქ. 87. ტელ: 25-17-20; ფაქსი: 25-17-21

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ ____55____

"__20__" ____06____ 2003 წ.

1. საერთო მონაცემები

1. პროექტის დასახელება –	მჟავე გუდრონისა და ნედლი ნავთობის პირველადი გამოხდის პერიოდული ციკლით მომუშავე მინი დანადგარი
2. საქმიანობის კატეგორია –	პირველი
3. პროექტის სტადია –	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
4. პროექტი შედგენილია –	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბაკურიძე და კომპანია"-ს მიერ
5. ობიექტის ადგილმდებარეობა –	ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. განთიადი
6. დამკვეთი –	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბაკურიძე და კომპანია"
7. პროექტი წარმოდგენილია –	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბაკურიძე და კომპანია"-ს მიერ
8. საპროექტო მასალები მიღებულია	18. 04. 2003 წ.

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბაკურიძე და კომპანია"-ს მიერ გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი "მჟავე გუდრონისა და ნედლი ნავთობის პირველადი გამოხდის პერიოდული ციკლით მომუშავე მინი დანადგარი"-ს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დოკუმენტაცია შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი წარმოადგენს განაცხადს 59 გვერდზე, რომელშიც ზოგადად არის მოცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ძირითად ანგარიშში ასახული ასპექტები, რაც იძლევა საშუალებას საზოგადოებისათვის შექმნან წარმოდგენა განსახილველ საქმიანობაზე.

მეორე ნაწილი წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს 225 გვერდზე, შესაბამისი სქემებითა და ცხრილებით.

პროექტის მიხედვით საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია ხელვაჩაურის რაიონის სოფ. განთიადში ყოფილი ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ე.წ. "კანდიბაური"-ს გაუქმებულ სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე.

მჟავე გუდრონის ნეიტრალიზაციისა და გადამუშავების დანადგარის ტექნოლოგიური პროექტი "ბნქ"-ს დაკვეთით 1987 წელს გადამუშავებული იყო ბაშკირეთის ნავთობის გადამუშავების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. რაც შეეხება ნედლი ნავთობის პირველადი გამოხდის პერიოდული ციკლით მომუშავე მინი დანადგარის მშენებლობის ტექნოლოგიურ პროექტს, შემუშავებული იქნა შპს "ნტ მაგი"-ს მიერ.

მჟავე გუდრონების გადამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი პროცედურა: მჟავე გუდრონების განთავსება ხდება სპეციალურად მოწყობილ ღია საცავში, რომელიც წარმოადგენს თიხოვან წყალგაუმტარ გრუნტში მომზადებულ საცავს (25X20X2), რომლიდანაც მისი მომზადება ხდება პერიოდული მოქმედების ამრევში. სპეციალურ ამრევში იგი ცხელდება 70^0C-მდე. მჟავე გუდრონი წარმოადგენს მეტად ბლანტ მასას და იმისათვის, რომ ღია საცავიდან გადაიტუმბოს ამრევში, წინასწარ ხდება მისი გათბობა 30^0C ტემპერატურამდე, სპეციალური გამათბობელი სისტემის მეშვეობით. მექანიკურ ამრევში 45-60 წუთის განმავლობაში მცირე ულუფებით მიეწოდება გამანეიტრალებელი აგენტი, რომლის შემდეგ სრული შერევის პროცესი გრძელდება კვლავ 45-60 წუთის განმავლობაში. ნეიტრალიზაციის პროცესის დასრულება დადგინდება PH-ის მიხედვით. პროცესის დამთავრების შემდეგ 70^0C ტემპერატურის მქონე გუდრონი მიეწოდება გამაცხელებელ-დამჟანგავ კუბში, რომელშიც იგი ცხელდება 200^0C-მდე. აღნიშნულ ტემპერატურამდე გაცხელების შემდეგ კუბს მიეწოდება ტექნიკური ჰაერი 1,2 კგ/სმ^2 წნევით. გამაცხელებელ კუბში ჟანგვის პროცესი გრძელდება დაახლოებით 12-13 საათს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ დანადგარის მუშაობა მხოლოდ სეზონური ხასიათისაა და წლის თბილ პერიოდში განხორციელდება.

რაც შეეხება ნედლი ნავთობის გადამუშავებას, ტექნოლოგიური ციკლით მიიღება პირველადი გამოხდის ბენზინი (ნაფტა, ნეფრასი), სანათი ნავთი, დიზელის საწვავი და მაზუთი. ტექნოლოგიური სქემა აღწერილია გზშ-ს ანგარიშის მეხუთე თავში და მოიცავს ნავთობსახდელი მინი დანადგარის ძირითადი პარამეტრებს,

ზოგადი ტექნოლოგიური დახასიათებას, ნედლეულის და წარმოებული ნავთობპროდუქტების დახასიათებას, ტექნოლოგიური სქემის დეტალურ აღწერას. პირველადი გამოხდის ბენზინის (ნაფტა, ნეფრასი) ფრაქციის მიღების პროცესს, სანათი ნავთის ფრაქციის მიღების პროცესს, დიზელის საწვავის ფრაქციის მიღების პროცესს, მაზუთის ფრაქციის მიღების პროცესს.

გარემოზე ზემოქმედების სახეებისა და ობიექტების დადგენის მიზნით განხილულია ზეგავლენის წყაროები და სახეები, ზემოქმედების ობიექტები (მოსახლეობა და ბუნებრივი რესურსები). დადგენილია მოსალოდნელი ზემოქმედების მასშტაბები, შესრულებულია სანიტარულ-დამცავი ზონის საზღვრების ანგარიში, შეფასებულია მოსალოდნელი ემისიები ატმოსფერულ ჰაერში და წყლის ობიექტებში. ცალკე თავი აქვს დათმობილი ნარჩენების მართვას.

გაკეთებულია ზემოქმედების შედეგად გარემოს ახალი მდგომარეობის პროგნოზი.

ცალკე თავშია განხილული ავარიული სიტუაციების აღბათობები. ასევე შეფასებულია მოსალოდნელი შედეგები.

ანგარიშს თანდართული აქვს ზემოქმედების შედეგებისა და შერბილების, ასევე ლიკვიდაციის სტრატეგიული გეგმა და შესაბამისი ღონისძიებები. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მთავრდება გარემოსდაცვითი მონიტორინგის სტრატეგიული მიმართულებების ასახვით.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმართ დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ გამოთქმული შენიშვნები ასახულია წინამდებრე დასკვნის III თავში.

III. შენიშვნები

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ასახული სტრატეგიის შესაბამისად:
– შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნას გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მითითებით;
– შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნას ავარიაზე რეაგირების კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მითითებით;
– ორივე გეგმა შეთანხმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;

2. ბათუმის ყოფილი ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში დაგროვილი მჟავე გუდრონების ამოღებისა და გადამამუშავებელ საწარმოში მათ გადატანაზე წარმოდგენილი იქნას ტრანსპორტირების სქემა;

3. მჟავე გუდრონებისა და ნედლი ნავთობის საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებისათვის საჭირო სარეზერვუარო პარკისა და სპეციალური სათავსის მოწყობა მოხდეს გარემოსდაცვითი პირობების მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ითვალისწინებს ნედლი ნავთობის დაღვრის შემთხვევაში ადგილზე [illegible] პირობებში დაგროვების შესაძლებლობას;

4. ვინაიდან მჟავე გუდრონებისა და ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორია ადრე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის ფარგლებში მდებარეობდა, საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე მოხდეს ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის შედეგები შეთანხმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;

5. მხედველობაში იქნას მიღებული, რომ საწარმოს ტექნოლოგიური სქემა ეხება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (კონკრეტულად ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე) არსებულ ნარჩენებს (მჟავე გუდრონებს) და სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან ნარჩენების შემოტანა და გადამუშავება მკაცრად აკრძალულია;

6. საწარმოო პროცესში წარმოდგენილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური და ტექნოლოგიური მახასიათებლების მონაცემები შეთანხმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;

7. გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული ჩამდინარე წყლების გარემოში ჩაშვება განხორციელდეს რეგულარულად ჩატარებული ანალიზების საფუძველზე. ანალიზების მონაცემები დაფიქსირდეს სპეციალურ ჟურნალში;

8. "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე შემუშავებული და დამტკიცებული იქნას: "ატმოსფერული ჰაერის დაცვის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა ნორმატივების პროექტი" და "გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში";

9. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის თარიღიდან სამი თვის ვადაში "სამრეწველო საწარმოების პროექტირების სანიტარული ნორმები"-ს (СН 245-71) 2-12 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნავთობის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის დადგენილი სანიტარულ-დამცავი ზონის ფარგლებში, ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით შედგენილ იქნეს "სანიტარულ-დამცავი ზონის ტერიტორიის გამწვანებისა და კეთილმოწყობის პროექტი". აღნიშნული შეთანხმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან. პროექტის განხორციელება დაიწყოს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოსდაცვითი ნებართვა № 0053

"20" ივნისი 2003

კოდი MD1

1.	ნებართვის მიმღები სუბიექტი	შ.პ.ს. ბაკურიძე & კომპანია
2.	საქმიანობის მიზანი	მუაკე ბენზინისა და ნედლი ნავთობის პირველადი გამოხდა
3.	განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა	ხელვაჩაურის რაიონის სოფელ განთიადში ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე
4.	დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	შ.პ.ს. ბაკურიძე და კომპანია
5.	ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6.	ნებართვის გაცემის საფუძველი	სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №: 55 20.06.2003 წ.
7.	ნებართვის მოქმედების ვადა	10 წელი 2013 წ. ივნისამდე
8.	ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს დანართში მოყვანილი პუნქტების შესრულების აუცილებლობის პირობებით (იხ. დანართი გვ-ზე)

გარემოსდაცვითი ნებართვა გაცემულია:
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა (გვარი, სახელი, თანამდებობა)	[signature]	ბ. ჟორჟოლიანი დეპარტამენტის უფროსი
გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა (გვარი, სახელი, თანამდებობა)	ნ. [signature]	ნ. ჩხობაძე მინისტრი

20486943

მჟავე გუდრონისა და ნედლი ნავთობის პირველადი გამოხდის პერიოდული ციკლით მომუშავე მინი დანადგარის პროექტზე გარემოსდაცვითი ნებართვის პირობები

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ასახული სტრატეგიის შესაბამისად:

– შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნას გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მიითებით;

– შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნას ავარიაზე რეაგირების კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მიითებით;

– ორივე გეგმა შეთანხმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;

2. ბათუმის ყოფილი ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში დაგროვილი მჟავე გუდრონების ამოღებისა და გადამამუშავებელ საწარმოში მათ გადატანაზე წარმოდგენილი იქნას ტრანსპორტირების სქემა;

3. მჟავე გუდრონებისა და ნედლი ნავთობის საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებისათვის საჭირო სარეზერვუარო პარკისა და სპეციალური სათავსის მოწყობა მოხდეს გარემოსდაცვითი პირობების მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ითვალისწინებს ნედლი ნავთობის დაღვრის შემთხვევაში ადგილზე წყალშეუვალ პირობებში დაგროვების შესაძლებლობას;

4. ვინაიდან მჟავე გუდრონებისა და ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორია ადრე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის ფარგლებში მდებარეობდა, საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე მოხდეს ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის შედეგები შეთანხმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;

5. მხედველობაში იქნას მიღებული, რომ საწარმოს ტექნოლოგიური სქემა ეხება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (კონკრეტულად ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე) არსებულ ნარჩენების

(მჟავე გუდრონებს) და სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან ნარჩენების შემოტანა და გადამუშავება მკაცრად აკრძალულია;

6. საწარმოო პროცესში წარმოდგენილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური და ტექნოლოგიური მახასიათებლების მონაცემები შეთანხმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;

7. გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული ჩამდინარე წყლების გარემოში ჩაშვება განხორციელდეს რეგულარულად ჩატარებული ანალიზების საფუძველზე. ანალიზების მონაცემები დაფიქსირდეს სპეციალურ ჟურნალში;

8. "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე შემუშავებული და დამტკიცებული იქნას: "ატმოსფერული ჰაერის დაცვის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათ ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა ნორმატივების პროექტი" და "გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში";

9. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის თარიღიდან სამი თვის ვადაში "სამრეწველო საწარმოების პროექტირების სანიტარული ნორმები"-ს (СН 245-71) 2-12 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნავთობის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის დადგენილი სანიტარულ-დამცავი ზონის ფარგლებში, ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით შედგენილ იქნეს "სანიტარულ-დამცავი ზონის ტერიტორიის გამწვანებისა და კეთილმოწყობის პროექტი". აღნიშნული შეთანხმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან. პროექტის განხორციელება დაიწყოს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებისთანავე.

10. დასკვნა
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბაკურიძე და კომპანია"-ს მიერ გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი "მყარ გუდრონისა და ნედლი ნავთობის პირველადი გამოხდის პერიოდული ციკლით მომუშავე მინი დანადგარის" პროექტის გარემოზე

ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია. საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე გათვალისწინებული იქნას წინამდებარე გარემოსდაცვითი ნებართვის 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 პირობები.

საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებულ იქნას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოსდაცვითი ნებართვა № 0053

კოდი MD1

"20" ივნისი 2003

1.	ნებართვის მიმღები სუბიექტი	შ.პ.ს. ბაკურიძე & კომპანია
2.	საქმიანობის მიზანი	მუავე გუდრონისა და ნედლი ნავთობის პირველადი გამოხდა
3.	განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა	ხელვაჩაურის რაიონის სოფელ განთიადში ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე
4.	დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	შ.პ.ს. ბაკურიძე და კომპანია
5.	ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6.	ნებართვის გაცემის საფუძველი	სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №: 55 20.06.2003 წ.
7.	ნებართვის მოქმედების ვადა	10 წელი 2013 წ. ივნისამდე
8.	ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს დანართში მოყვანილი პუნქტების შესრულების აუცილებლობის პირობებით (იხ. დანართი გვ-ზე)

გარემოსდაცვითი ნებართვა გაცემულია:
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა (გვარი, სახელი, თანამდებობა)	[signature]	გ. ყორყოლიანი დეპარტამენტის უფროსი
გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა (გვარი, სახელი, თანამდებობა)	[signature]	ნ. ჩხობაძე მინისტრი

ბ. ა.

204861943

№499
13.04.10

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

"ბ ა კ ო ი ლ ი"

BAKOIL LTD

ს.კ.№248 387 197

№ 7 30/03/10

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს
ბ-ნ ვლადიმერ გეგელაშვილს

მოგახსენებთ, რომ ჩვენ კომპანიამ (ყოფ. შპს "ბაკურიძე და კომპანია") მიიღო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსაგან გარემოსდაცვითი ნებართვა №0053 გაც.20/06/03წ. ამასთანავე კომპანიამ შეიცვალა სახელწოდება 20/11/04წ. ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს დადგენილების საფუძველზე (ცვლილების რეგისტრაციის №04/5/გ-235) და შესაბამისად კომპანიის სახელწოდება "ბაკურიძე და კომპანია"-ს ნაცვლად საფირმო სახელწოდება "ბაკოილი"-ზე შეიცვალა, ხოლო დანარჩენი რეკვიზიტები დარჩა უცვლელი, მათ შორის მისამართი, იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა, საინდიფიკაციო ნომერი და სხვა.

გთხოვთ გასცეთ გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა შპს "ბაკოილი"-ზე.

განცხადებას თან ერთვის:
-სასამართლო დადგენილება 29/11/04
-გარემოსდაცვითი ნებართვა №0053 გაც. 20/06/03
-დასკვნა პროექტზე №55 20/06/03წ.
-ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

პატივისცემით,
დირექტორი /თამაზ ზოიძე/

1685
13 04 2010

საქართველო, აჭარის ა.რ., ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. განთიადი, ტელ/ფაქსი: 5-42-35, 899-93-84-27
Georgia, A.R. of Adjara, Khelvachauri region, Gantiadi, tel/fax: 5-42-35, tel: 899-93-84-27, E-mail:bakoilltd@rambler.ru

შპს „ბაკურიძე და კომპანიას“

(რეგისტრ. ხელვაჩაურის რ-ნულ სასამართლოში 18.01.2002წ., №04/5/ბ-235)

პარტნიორთა კრების ოქმი № 3

ქ.ბათუმი 2004 წლის 26 ნოემბერი

კრებას ესწრებოდნენ:

ა)ბატონი თემურ ბაკურიძე, დაბადებული 31.07.1958წ. ხელვაჩაურში, მცხოვრები ქ.ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქ.№23, პროფესიით პედაგოგი, ინჟინერი, წილი საწესდებო კაპიტალში — 80%;

ბ)ქალბატონი მარინა თამაზაშვილი, დაბადებული 24.01.1963წ. ბათუმში, მცხოვრები ქ.ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№18, ბინა №34, პროფესიით პედაგოგი, წილი საწესდებო კაპიტალში — 20%.

დღის წესრიგი:

1.შპს “ბაკურიძე და კომპანიას“ საფირმო სახელწოდების და პარტნიორის საცხოვრებელი ადგილის, ცვლილების საფუძველზე წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

2.დირექტორის თანამდებობიდან ბატონ თემურ ბაკურიძის განთავისუფლების შესახებ და დირექტორის დანიშვნის შესახებ.

გადაწყვეტილება:

I

1.შპს “ბაკურიძე და კომპანიას“ სახელწოდება შეიცვალოს სახელწოდებით “შპს „ბაკოილი“.

2.საზოგადოების პარტნიორის ბატონ თემურ ბაკურიძის საცხოვრებელი მისამართი შეიცვალა მისამართით: „ქ.ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქ.№23.“

3.შპს “ბაკურიძე და კომპანიას“ წესდებაში, დამოწმებული 18.01.2002წ. ნოტარიუსის ხელვაჩაურის რაიონში თამარ ჩამბას მიერ, რეესტრში რეგისტრაციის №36/1, შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა)წესდების მთელ ტექსტში “შპს “ბაკურიძე და კომპანია“ შეიცვალოს შემდეგი სახელწოდებით:

„შპს “ბაკოილი“.

ბ)წესდების 1.5. მუხლის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “წილი პარტნიორებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად:

ა)ბატონი თემურ ბაკურიძე, დაბადებული 31.07.1958წ. ხელვაჩაურში, მცხოვრები ქ.ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქ.№23, პროფესიით პედაგოგი, ინჟინერი, წილი საწესდებო კაპიტალში — 1600 ლარი — 80%;

ბ)ქალბატონი მარინა თამაზაშვილი, დაბადებული 24.01.1963წ. ბათუმში, მცხოვრები ქ.ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№18, ბინა №34, პროფესიით პედაგოგი, წილი საწესდებო კაპიტალში — 400 ლარი — 20%.“

II

1. ბატონი თემურ ბაკურიძე განთავისუფლდეს დირექტორის თანამდებობიდან.

26.11.2004წ. ჩემს, ნოტარიუსის ქ.ბათუმში ნანი ანანიძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის №1-3313);

3.ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 18 იანვრის დადგენილება შპს "ბაკურიძე და კომპანიას" რეგისტრაციის შესახებ, №04/5/ბ-235 (დედანი);

4.შპს "ბაკურიძე და კომპანიას" 2004 წლის 25 აგვისტოს პარტნიორთა კრების ოქმი №2, დამოწმებული 26.08.2004წ. ჩემს, ნოტარიუსის ქ.ბათუმში ნანი ანანიძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის №1-2355 (ფოტოასლი, დამოწმებული 26.11.2004წ. ჩემს, ნოტარიუსის ქ.ბათუმში ნანი ანანიძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის №1-3314);

5.ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 აგვისტოს დადგენილება შპს "ბაკურიძე და კომპანიას" რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ (დედანი);

გადახდილია სანოტარო საზღაური 15,0 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998წ., №1417 II ს) მე-18 მუხლისა.

ნოტარიუსი ---------- ნანი ანანიძე

2. დირექტორად დაინიშნოს ბატონი თამაზ ზოიძე, დაბადებული 25.01.1965წ. ბათუმში, მცხოვრები ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ახალშენი, პროფესიით კომერსანტი.

კრების თავმჯდომარე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000015

კოდი M D 1 "04" "მაისი" 2010 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შპს „ნაპოილი"

2. საქმიანობის მიზანი ნავთობგადამამუშავებელი წარმოება

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა ხაშურის რაიონი სოფელი ქართიანი

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია შპს „გაურიძე და კომპანია"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №55. 20.06.2003 წ.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს სახელმწიფო ეკოლ. ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების პირობით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიცენზიების და ნებართვების სამსახურის უფროსი
ნუგზარ ჯახნაკია

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 10...

N 000015

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 0-196

ქ. თბილისი "04" 05 2010 წ.

შ.პ.ს „ბაკოილზე"	გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ტ" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლისა და ამავე კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და იმის გათვალისწინებით, რომ შ.პ.ს „ბაკურიძე და კომპანიამ" შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შ.პ.ს „ბაკოილი"-ს სახელით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შ.პ.ს „ბაკოილი"-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა – ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ განთიადში ნავთობგადამამუშავებელ წარმოებაზე.
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის 20.06.2003 წლის №55 დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შ.პ.ს „ბაკოილი"-ს.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№ 7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №55; 20.06.2003წ და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაიას მოხსენებითი ბარათი

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, შ.პ.ს „ბაკოილი"-ს.

შ.პ.ს. "იბერია ენერჯი"

ს/კ 245425589

L.T.D. "IBERIA ENERGY"

№ 13 "__" ____ 201_

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ქალბატონ ხათუნა გოგალაძეს

მოგახსენებთ, რომ შ.პ.ს. "ზაკოილმა", რომელზეც 04.05.2010 წ. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გასცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000015 (დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია შ.პ.ს. "ზაკურიძე და კომპანია") შ.პ.ს."ზაკოილი"-ს სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით, ამჟამად საჭიროებს განახლებას, სამეწარმეო რეესტრში შ.პ.ს.-ს სახელწოდებისა და საიდენტიფიკაციო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ამჟამად შ.პ.ს. "ზაკოილი" (ყოფილი შ.პ.ს. "ზაკურიძე და კომპანია") რეესტრში რეგისტრირებულია, როგორც შ.პ.ს. "იბერია ენერჯი", რის გამოც გთხოვთ მოგვცეთ შ.პ.ს. "იბერია ენერჯი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

ამასთანავე მოგეხსენებათ, რომ მჟავე გუდრონის ამოღების, გადამუშავებისა და უტილიზაციის ტექნოლოგიური რეგლამენტი, ინსტრუქციები და სხვა ნორმატიული აქტები ამჟამად არის უცვლელი, ხოლო ის პოტენციური ღონისძიებები, რომლებიც მითითებული იყო სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნით ნაწილში, ლიკვიდირებულია, რის შესახებაც დროულად ეცნობა შესაბამის სამინისტროებს და მათ დაქვემდებარებაში არსებულ უწყებებს.

დანართი: 7 ფურცელი

პატივისცემით,
დირექტორი: ივ. მაისურაძე

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 4697
"04" 09 2013 წ

სოფ. განთიადი, ხელვაჩაურის რ-ნი, აჭარის ა.რ. საქართველო, ტელ/ფაქსი 0422254787 ტელ: 577491949
v.Gantiadi Khelvachauri region A.R. of Adjaria Georgia tel/fax 0422254787 tel 577491949

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

06013726886481 3

KA060137268864813

ბრძანება No-199

ქ. თბილისი

09 / სექტემბერი / 2013 წ.

შპს „იბერია ენერჯი"-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 25–ე მუხლის მე–15 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „იბერია ენერჯი"-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. განთიადში ნავთობგადამამუშავებელ წარმოებაზე (მჟავე გუდრონისა და ნედლი ნავთობის გადამუშავება);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ბაკოილი"-ზე 2010 წლის 4 მაისს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000015;
3. ნებართვის მოქმედების ვადა - უვადო
4. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის უწყებრივი სანებართვო რეგისტრაციის ჟურნალში შესაბამისი ცვლილების განხორციელება;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „იბერია ენერჯი"-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იბერია ენერჯი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; შპს „იბერია ენერჯი"-ს (№13; 03.09.2013წ.) წერილი.

მინისტრი — ხათუნა გოგალაძე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N000017

კოდი MD1 „09" „09" 2013

1.	ნებართვის მიმღები სუბიექტი	შ.პ.ს. "იბერია ენერჯი"
2.	საქმიანობის მიზანი	ნაკოობგადამამუშავებელი წარმოება (მჟავე გუდრონისა და ნუდლი ნავთობის გადამუშავება)
3.	ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. განთიადი
4.	დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	შპს "ბაკურიძე და კომპანია"
5.	ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6.	ნებართვის გაცემის საფუძველი	სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №55; 20.06.2003წ.
7.	ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ბ.ა.

თამარ შარაშიძე

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო